აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №5

ქ. ბათუმი 30.05.2004 წ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის ბოლო ვადის შესახებ. /მომხსენებელი ს. ჩხაიძე/
2. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდნენ გიზო მჭედლიძე, სიმონ ჩხაიძე, გულნარა ბზიკაძე, გუგული დუაძე, ქეთევან ჯიქია, ლევან ჩავლეიშვილი. კომისიის თავმჯდომარის ი.ფაღავას დავალებით სხდომის თავმჯდომარეობა დაევალა გ. დუაძეს, რაზედაც კომისიის წევრების მიერ მიეცა თანხმობა კენჭისყრით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა კომისიის წევრს სიმონ ჩხაიძეს. „საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის არჩევის ბოლო ვადის 1 ივნისამდე გადაწევის გამო საოლქო კომისიის ბოლომდე დაკომპლექტება ვერ ხერხდება, ამიტომ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 1 ივნისი"- აღნიშნა გამომსვლელმა. ამ საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გიზო მჭედლიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" პუნქტით, ჩვენ ამის უფლებამოსილება გაგვაჩნია. შემოთავაზებული წინადადება მოწოდებული იქნა კომისიის წევრების მიერ, ეყარა კენჭი და ერთხმად იქნა მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე: ი.ფაღავა /დუაძე/

კომისიის მდივანი: გ. მჭედლიძე